

„ჯი ემ ლოჯისტიკ“

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ს/კ 405331225

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური
მდგომარეობის ანგარიშგება

სარჩევი:

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საქმიანობის შედეგები
ზოგადი ინფორმაცია
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური
ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

2-3
3-4
4
4-8

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებულ იქნა
ხელმძღვანელობის მიერ.

ნინო ჩხეიძე /დირექტორი/

ლარისა წულაია /მთ. ბუღალტერი/

თარიღი 30 სექტემბერი 2020



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

	31.12.2019
აქტივები	
ფული და ფულის ეკვივალენტები	5 879 288
სავაჭრო მოთხოვნები	4 670 281
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი	175
მარაგები	650 619
- მზა პროდუქცია	
- სხვა	650 619
საინვესტიციო ქონება	4 885
სხვა მიმდინარე აქტივები	
ბიოლოგიური აქტივები	
- თვითღირებულების მოდელით	
- გადაფასების მოდელით	
გუდვილი	
სხვა არამატერიალური აქტივები	
ძირითადი საშუალებები	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	
სულ აქტივები	11 205 248
ვალდებულებები	
ფინანსური იჯარის ვალდებულება	
სავაჭრო ვალდებულებები	4 701 927
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	
საგადასახადო ვალდებულებები	35
გამოუმუშავებელი შემოსავალი	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	
მიღებული გრანტები	
სხვა ვალდებულებები	
სულ ვალდებულებები	4 701 962
საკუთარი კაპიტალი	
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	
საემისიო შემოსავალი	
გამოსყიდული საკუთარი აქციები	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	6 503 286

გადაფასების რეზერვი	
სხვა რეზერვები	
სულ საკუთარი კაპიტალი	6 503 286
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	11 205 248
	საანგარიშგებო პერიოდი
ნეტო ამონაგები	
საქონლის გაყიდვიდან	
მომსახურების გაწევიდან	17 724 882
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-4 472 127
საწყისი მარაგები	0
მარაგების შესყიდვა	-5 122 746
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	650 619
საერთო მოგება	13 252 755
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-28 125
ცვეთა და ამორტიზაცია	
საპროცენტო შემოსავალი:	3 524
საპროცენტო ხარჯი :	
იჯარის ხარჯი	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-6, 569 057
სულ საოპერაციო ხარჯები	-6 593 658

საოპერაციო მოგება	6 659 097
--------------------------	------------------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	
ფინანსური აქტივები	
მარაგები	
სხვა არაფინანსური აქტივები	
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-155,811
მიღებული დივიდენდები	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	6 503 286
მოგების გადასახადი	
მოგება/(ზარალი)	6 503 286

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	

სხვა	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	6 503 286

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6 503 286

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი ემ ლოჯისტიკ“-ს (ს/ნ 405331225) (შემდგომში „კომპანია“) რეგისტრირებულია 2019 წლის 22 აპრილს. კომპანიის იურიდიული მისამართი არის და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., N 12ა.

შპს „ჯი ემ ლოჯისტიკ“-ის მესაკუთრე არის:
ოლექსანდრ კურლიანდი (პ/ნ 1853807550, ES443483) - 100%;

შპს „ჯი ემ ლოჯისტიკ“ საქმიანობას წარადგენს ტვირთის საერთაშორისო გადაზიდვების მომსახურება: ფოთი/ბათუმი - ოდესა, ოდესა - ფოთი/ბათუმი, სტამბული - ოდესა, ოდესა - სტამბული.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

კომპანიის მიერ, მისი დაფუძნებისთანავე მოხდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გამოყენება, ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად.

კომპანიას გასულ პერიოდებში წარდგენილი არ აქვს ფინანსური ანგარიშგება, იგი რეგისტრირებულია 2019 წლის 22 აპრილს. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საანგარიშგებო და სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით. საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს.

ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი მოიცავს:

1. საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას;
2. საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას;
3. განმარტებით შენიშვნებს, სადაც მოკლედ განხილულია ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და სხვა განმარტებითი ინფორმაცია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო პერიოდის საკუთარი კაპიტალის ცვლილებები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს, განპირობებულია მხოლოდ მოგების ან ზარალის მიღებით, დივიდენდების გაცემით, წინა პერიოდების შეცდომების გასწორებითა და სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებით, შესაბამისად კომპანიამ გადაწყვიტა წარადგინოს საანგარიშგებო თარიღისთვის მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების ანგარიშგება და განმარტებით შენიშვნები. აქტივები და ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია გრძელვადიან და მოკლევადიან მუხლებად და სტრუქტურა შედგენილია ლიკვიდობის კლებადობის მიხედვით.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს გაეწევა მომსახურება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და `საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება.

კაპიტალი

საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ. ქონება კლასიფიცირდება, როგორც კაპიტალი.

ძირითადი საშუალებები

კომპანიას საკუთარი ძირითადი საშუალებები არ გააჩნია.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ფულის ნაშთისგან.

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან და სხვა მოთხოვნები

მომსახურების გაწევა, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი მოთხოვნები და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და მომსახურების მიღებიდან წარმოშობილი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ბანკის ეროვნული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები:

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და ხარჯი.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისთვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკუროსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

იჯარა

იმის განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, ხდება იჯარის დასაწყისში, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი შესრულება დამოკიდებულია გარკვეული აქტივის (ან აქტივების) გამოყენებაზე და შეთანხმება ასახავს აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებას მაშინაც კი, თუ ეს აქტივი (ან აქტივები) მკაფიოდ არ არის მითითებული შეთანხმებაში. კომპანია, როგორც მოიჯარე აქტივის კლასიფიცირება ხდება იჯარის საწყისი თარიღით ფინანსურ ან საოპერაციო იჯარად.

იჯარა, რომელიც გადასცემს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს კომპანიას, კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად.

საოპერაციო იჯარა არის ისეთი ტიპის იჯარა, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ფინანსურ იჯარად. საოპერაციო იჯარის გადასახდელების აღიარება ხდება საოპერაციო ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. კომპანია, როგორც მიიჯარე იჯარას, რომლის დროსაც კომპანია არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. საიჯარო ქირის აღიარება ხდება შემოსავლის სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება: განაწილებული მოგება, გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით. ჯერ-ჯერობით მოგების განაწილება არ მომხდარა.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ქონია.

შენიშვნა 3

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
თანხა მოცემულია ქართულ ლარში

01.01.2020

მიმდინარე ანგარიშები ბანკში	5,879,288
ნაღდი ფული	0
სულ	5,879,288

შენიშვნა 4

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან და სხვა მოთხოვნები

01.01.2020

მოთხოვნები მომს. გაწევიდან	4,670,281
გადახდილი ავანსები	175
სულ	4 670 456

შენიშვნა 5

მარაგები და სხვა აქტივები

01.01.2020

მზა პროდუქცია	0
საწვავი	4001544
სხვა მასალები	1121202
საინვესტიციო ქონება	4885
სულ	5 127 631

შენიშვნა 6

სავაჭრო, მომსახურების მიღებიდან წარმოშობილი და სხვა ვალდებულებები

01.01.2020

სავაჭრო და მომს. მიღ. წარმ. ვალდებულება	4,701,927
ჩარიცხული ავანსი	0
სხვა ვალდებულებები	35
სულ	4 701 962

შენიშვნა 7

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

შემენილი მომსახურება	6 554 804
შრომის ანაზღაურება	28 125
საბანკო ხარჯები	13 385
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	868
სულ	6 597 182